წუთი არ არსებობს შენზე
არ ვფიქრობდე შენ ჩემო შვილო.
ულამაზესო, რატომ დამტოვე,
და რად არ მითხარ,
თუ რა გინდოდა თავი რად იკალ.
შენი დედიქო კვლავ
გაგიგებდა და ყველას შენთვის
შეაწუხებდა

და შენ საშველად სისხლსაც კი გაიღებდა.
შენ რად არ მითხარ. თუ რა მინდოდა.
შენი ორი სიტყვა ფასად დამიჯდა
მთელი ცხოვრება ვნანობ, და გნატრობ,
შენ ჩემო შვილო, ჩემო ლამაზო.



შენი ცხოვრება რად მიატოვე, მე ჩემ ცხოვრებას
კი ვნანობ მაგრამ, შენ ცხოვრება, შვილო
ეხლა დაგეწყო, და შენ კი
სად ხარ. მიყვარხარ კახა,
მიყვარდი რა ვქნა,
ეგ შენი ცოდვა ამ ცხოვრების ბრალია.
მებრალები ძალიან.
თუ მიყვარხარ ძვირფასო,
ეს რა ჩემი ბრალია.

მიყვარდი კახა
მიყვარხარ რა ვქნა,
შენ ნაწყენი დედამ ვერ ნახა
ასეთი შვილი ინატროს ყველამ
ეს ჩემი კახა მიიღოს ღმერთმა,
მიყვარხარ კახა, მიგიღოს ღმერთმა,
სამოთხის კარი გაგიღოს ღმერთმა,
მიყვარხარ სად ხარ, გებახი
ახლაც კახავ, და კახავ
სიზმარში გნახავ, მოვალ და გნახავ,
კახავ, და, კახავ, კახა...
გებახი სად ხარ კახაა...
მიყვარხარ რა ვქნა...
მინდა აქ იყო ღმერთთან
ხარ ალბად კახა...
სად ხარ, მე ვტირ ახლა, ჩემი პირველი ბიჭი
შენახარ,
და სიხარულიც უნდა გვენახა,
შვილიშვილები უნდა მყოლოდა,
და შენი გვარის გამგრძელებელო
სადახარ კახა,
რად არ ხარ ახლა,



შვილი შვილები შენგან აღარ მყავს,
ინებოს ღმერთმა.

სამოთხის კარი გაგიღოს ღმერთმა,
მიყვარხარ შვილო, ეხლა ხარ ღმერთთან.
დაემორჩილე ამას გთხოვ დედა.
ეს შენი ხვედრი, მიიღო ღმერთმა
დაემორჩილე მიყვარხარ კახა.

ვეღარ გიშველი
შენ შვილო ახლა,
რად დამდუპე და რად დაიდუპე,
ეგ შენი თავი რისთვის გაწირე.
მიყვარხარ კახა
ჩემთან რად არ ხარ.
რად გაწირე შენი თავი, რისთვის შეწირე,
რად დაივიწე შენი მშობლები,
ყველას გივევარი, და კვლავ მოგონებით,
მიყვარხარ კახა,
კვლავ მოდი ჩემთან მე გელოდები,
დედა ვარ შენი, სამოთხის კარი
გაგიღოს მღერთმა.
2011 წელი 3 ივნისი

დედას მოზერება

ბავშვი ვიყავი მუდამ კეთილი სხვისი ტკივილი
მეც რომ მტკიოდა.
გოგო ვიყავი ყოველთვის კარგი სხვისი
გულის თქმა ჩემსას ემხროდა,
და თუ გავთხოვდი რა დავაშავე,



მსურდა შვილები მეც რომ მყოლოდა,
მყავდა შვილები, მიყვარდა, ყველა
მაგრამ მესამე წამართვა დმერთმა,
ჩემი კახუნა, აღარ მყავს ეხლა,
და დმერთს ვთხოვ ეხლა
რომ სამოთხეში მიმყოფოს მასთან.
ეხლა სიზმრების გარდა ვერ გხედავ,
თურმე რა ძნელი ყოფილა შვილი
გაზარდო 23 წლის, უცებ დაკარგო ძლიერ ძნელია.
მე ხომ სიმდიდრე არ მინატრია,

ჩემი შვილების კარგად ყოფნას ვნატრობდი,
მხოლოდ, ჩემ პირადულზე, არ მიფიქრია,
მინდოდა, მხოლოდ შვილებს ჰქონოდა,
მაგრამ, კახუნამ მაინც
დამტოვა, მიყვარს შვილები, შვილი-შვილები,
მთელი ცხოვრება მათთვის შევწირე.

მართალია კითხვა არ მიყვარს,
მაგრამ ვიღაც მაინც წაიკითხავ და დააფასებს,
რომ ყოველთვის მიყვარს, მყვარებია
ჩემი შვილები, ჩემი სალხი და ჩემი მეუღლე,
ჩემი სიძეები, შვილი-შვილები,
და მთელი საქართველო,
წაიკითხეთ, შეისწავლეთ და გაიგეთ,
როგორ მიყვარდით, მაგრამ ვერ ამჟღავნებდა
თქვენს ტკივილზე მეც გული მტკიოდა.
რაც შემეძლო ვაკეთებდი.
მინდოდა თბილად, მშვიდად და მაძლრად მყოლოდით,
შვილებო და ბოლოს კახაც
კახაც მშვიდად დაგზოვე, მაგრამ
თვითონ დაიღუპა...
და მეც დამღუპა, მთელი ცხოვრება სასანებელი



გამიხადა.

მთელი ცხოვრება სანანებელი გამიხადა ჩემი
პირველი ბიჭი,
პირველი სიმწარე, როგორ გადავიტანო,
ჩემი ლამაზი შვილი, ანგელოზივით მოფრენილი,
ანგელოზივით გაფრენილი, და ჩემი მუდმივი ტკივილი.
მე ღმერთს შევავედრე, ღმერთმა რომ შემინდოს,
შენი შეცდომები.
მიყვარხარ კახა, და მეყვარები.

შენი მონატრება, დღეს სულ სხვაგვარია,
ასე სიყვარულით ჯერ არ მიწერია.
ჩემი შვილო კახა, მენატრები რა ვქნა,
ისევ დამიბრუნდი გენაცვალე კახა.
2011 წელი 3 ივნისი

როდესაც კახაზე ვიყავი ფეხმიმედ, როდესაც უკვე მორჩენის
დღე იყო, ეს იყო 1987 წლის 6 ოქტომბერი, ცხოვრობდით ჭაროში
თენგიზის უთხარი როდესაც მუცელი სასტიკად ამტკივდა. მან კი
ტაქსით მომიყვანა თომა კიპაროიძე, კახა კიპაროიძის მამა, მეც
გაჭირებული ჩავჯექი თომას ტაქსში და მივდივარ სამშობიაროს-
კენ. მე კარგად მახსოვეს, თომამ მითხრა, აცხონოს ღმერთმა, ბიჭი
თუ იქნება კახა დაარქვიო, ჩემ ბიჭსაც კახა ჰქვიაო. მე კი უბასუხე
ოლონდ, იყოს და დავარქმევ მეთქი.

მიყვანის შემდეგ რაღაც ორ საათში, მართლაც გაჩნდა ბიჭი,
ყველას ძალიან გაუხარდა. თენგიზის რომ ახარა მახარობელმა
ბიჭით, ფრენა დაიწყო, შეყარა სავანე, არგვეთი, კახა მყავსო, გადა-
იხადა კარგი ნადიმი. მის და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-
და.



გავიდი 9 დღე კახას დაბადებიდან და დავბრუნდით სახლში მე და კახა. კახა ჩავაწვინე აკვანში იზრდებოდა ჩვეულებრივად, ჯანმრთელად, ვაწოვებდი ძუძუს ორ წლამდე, შემდეგ ჰამდა ჟველაფერს, პრეტენზიული არ იყო. მიდიოდა ცხოვრება ჩვეულებრივად. კახა უვლას უყვარდა, იყო ბუნებულა ლამაზი ბავშვი, რაღაც უველასგან გასხვავებული, მე ეხლა ვხვდები რატომაც.

კახა 4 წლის იყო ბაღში რომ მივიყვანე სავანეში, უველა მასწავლებელი და მომვლელი დიდი სიყვარულით ექცეოდნენ. კარებში შეუვანისთანავე კახა ატაცებული ჰყავდათ. მეც რა თქმა უნდა ბედნიერად ვგრძნობდი თავს. შემდეგ 5 წლის ასაგში კახა გადმოვიყვანე არგვეთის ბაღში. აქაც იგივე მეორდებოდა კახა უველას უყვარდა

არ ვიკვეხნი, მაგრამ როგორც ბავშვი იყო მშვიდი, წენარი, ლამაზი, ტან-ფეხით უნაკლო გარეგნობის. ისეთი ლამაზი ჩანდა „შორტებში“ დამსახურებულ მოდელსაც შეშურდებოდა კახასი, მაგრამ რისთვის, შემდეგ გახდა სასკოლო 6 წლის, სკოლაში მივიყვანე 1994 წელს, მისი პირველი მასწავლებელი იყო ლალი ცარციძე.

კახა სწალობდა, პირველი კლასის მასალა უჭირდა მაგრამ ვეხმარებოდით, შემდეგ დაიწყო მეორე კლასი, მესამე კლასი, და ასე შემდეგ. მერვე კლასში და გაიზარდა კახაც, აუგა ბიჭებს, აღარ უნდოდა სწოლა, აღარ უნდოდა სწოლაში სიარული, რა სკოლა ვაგონებში სწავლოდნენ მიწისძვირს შემდეგ. სკოლაში მედეას ბუვეტი იყო, ერთ მშვენიერ დღეს კახას ვეხვეწები, აბანოზე სარეცხი ჩამატანიე მეთქი, შოთიკოც ახლდა შენც არ მომიკვდე, თურმე კახას და შოთიკოს სხვა გეგმები პქონიათ. გაბრაზებულმა მარტომ წავიდე ბავშვების გასარეცხები აბანოზე, გასარეცხად. და ერთი საათის შემდეგ ნინო მოვიდა ჩემთან და მეუბნება ირაკლი ბაბუამ თქვა დედაშენი მოვიდეს მედეას ბუფეტში.

თურმე ლამაზები, კახა და შოთიკო მედეას ბუფეტში „ბუდრაობენ“, „უთოხლავებენ“ შოკოლადებს და რა ვიცი კიდევ რას. 70 ლარი „მატკეცია“ მედეამ კახას „ნავაჟკაცარში“. მე კახას გაუწერი, შეეშინდა და სახლში აღარ მეკარებოდა, გრძნობდა რაც დააშავა. ლამეც კი არ შემოვიდა სახლში, მე არ ჩავასტე კარები,



ვიფიქრე გვიან მაინც შემოვა მეთქი, მაგრამ არ შემოსულა. თურმე პადვალში ჩაძინებია, დილას პადვალში ვნახეთ ჩაძინებული და შეცივნული. შემოვიყვანეთ სახლში მოვათბეთ და ძლიეს გამოვიყვანეთ მდგომარეობიდან. ერთი მაშინ ძალიან შემეშინდა, მეორე ეხლა სულ დაგპარგე.

ანგელოზივით მოფრინდი და ანგელოზივით გაფრინდი.

ოცნება ბევრი გვაქვს,
დრო ცოტა კარგო.
მთელი ცხოვრება, ვნატრობთ
და ვნატრობთ.
არავინ ვიციოთ, რატომ და რისთვის,
და არც ის ვიციოთ, როდის მოვკვდებით.
ჩვენი ვარსკვლავი, ზეციდან
გამოიქცევა, როდის?
როცა არ ველით, ძვირფასო მაშინ
მოულოდნელად, მოგვიკაკუნებს
კვლავ ბედის-წერა,
არ გვეკითხება, გვაწყობს თუ არა
და უკითხავად, დაგვავლებს ხელს,
და მიგვაცილებს სამოთხისაკენ...

მწვანე მიღნგრებს, მივყვებოდით მთებისკენ.
შორი ახლოს, კვლავ ვუცქერდით ერთმაეთს.
ბილიკ-ბილიკ, ამოსული ყაყაჩო,
შავ-თვალებავ, მსურს რომ შემოგთავაზო.
არასოდეს დაგივიწყებ, კახაბერ,
ჩემს ფიქრებში, არ მომკვდარხარ იცოდე,
ეოველი დერ, სანთლებს ვანთებ იმისთვის,
დაბრუნდები, მინდა ამის მჯეროდეს.



უფლის სახელს, ჩაგაბარებ შენს სახელს.
და ზეციდან, გადმომხედავ კახაბერ.
შენ არასდროს, არ მოკვდები ძვირფასო,
დედაშენი, გელოდება იმედით.
შენი მზერა, ბოლოს მე დავინახე,
და ჩემს გულში, მუდამ ტოვებ იარებს.
რატომ? რისთვის? ეს კითხვა არ მასენებს,
უპასუხოდ, ვრჩები ჩემო კახაბერ,
და კვლავ, მჯერა ღმერთი რომ შეგიწყალებს.

აგვისტოს ომში, ტრალ მინდორზე
ცხელ პირველ-ხაზზე მედგრად იდექი,
თვითმფრინავები ბომბებს ისკრიდნენ,
და ჯარის კაცებს ანადგურებდნენ.

ხოცავდნენ ჟლეტდნენ დიდს თუ პატარას
ქალი თუ ბავშვიც არ დაუნდიათ.
დაჭრილ მებრძოლებს თრმოში ყრიდნენ,
და ამ ყველაფრის მოწმე იყავი.

შენ გაუძელი კახა ამ ყოფას,
და სახლში შვილო შენ დამიბრუნდი.
ჩვენ სიხარულით გიმზერდით ყველა,
შენი მშობლები და ახლობლები,

ის გვიხაროდა რომ ჩვენი კახა,
ბრძოლის ველიდან რომ ჩვენთან დარჩა.
გავიდა წლები, იმ ომის შემდეგ,
და თებერვალი გვარგუნე მწარე,

ორშაბათი დღე ჩემო კახუნა,
ყველა ნათესავს შენ გაგვიმწარე,



მოულოდნელად თავი მოიკალ,
და შენი სისხლით სახლი მოირწყა.

რატომ და რისთვის რად გააკეთე,
და უპასუხოდ დაგვტოვე ყველა,
რით მოვინელო, ეგ შენი ტანჯვა,
ჩემო კახუნა დაგტირის დედა,

და ვტირით ყველა, რით მოგინელო,
შვილო ტანჯულო ჩემო კახუნა,
ღმერთმა მიგიღოს, სასუფელელში,
შენ დაგიმკვიდროს,
გემშვიდოებებით შვილო სულყველა.

2011 წელი 18 აპრილი

ყოველთვის მიდნოდა, ამ ქვეუნად ყოფნა,
და მჯერა იმის, ოდესმე მოვალ,
მქონდა, რამდენჯერ ოცნება ბევრი.
მაგრამ, სიკვდილმა დამრია ხელი,
არ დამიტიროთ, ამას გთხოვთ ყველას,
მე დაგბრუნდები, მოვალ ამ ქვეუნად,
პატარა კახად, მოგევლინებით.

და მოეფერეთ, ამას გთხოვთ ყველას,
ჩემო მშობლებო, მამავ და დედავ,
გთოხვთ მაპატიოთ, შეცდომა ჩემი.
ვედარ ვუძლებდი, უსამართლობას,
და ამიტომაც, გტოვებთ სუსველას.
ყველამ, იცოცხლეთ დიდხანს და დიდხანს.
კვლავ გაუფრთხილდით, ჩემს მშობელ დედას.
რად გავაკეთე, ვერას დროს ვიტყვი,
არ დამივიწყოთ (მე კორტიზიჩი)



**პატაწინა მარიამი
დაიბადა 5 ნოემბერს**

პატაწინა მარიამი
არის ჩენი, ნატვრისთვალი.
მენატრება ძალიან,
ჯერ არც კი, მინახია!
მიყვარს, ჩემი მარიამი!
ესე როგორც ლამაზს წყალი
პატაწინა, მარიამი
არის ბებოს, ნატვრისთვალი.

0688

შენ, თვითონ ბავშვი ხარ.
ჩემო, პატარავ!
უკვე შვილი გყავს, ვარსკვლავ სადარი.
ღმერთმა, კურთხევა გადაგაბრქვიოს
ბედნიერ დედად, მუდამ გაქციოს!
შენი, თვალები ბრწყინავდეს,
მზის-სხივი, შენთვის სულ ანათებდეს.
უფლის ლოცვები, არ მოგვკლებოდეს.
ბედნიერ დედად, კვლავ ითვლებოდე!

2011 წელი 15 ნოემბერი

მივსტირი წარსულს
დრო გარბის და არ ჩერდება,
მე, მივსტირი წარსულს.
არასოდეს დაბრუნდება, ის განვილი წლები,
იცი როგორ, მენატრება ჩვენი შეხვედრები,
როგორ მინდა, ამისრულდეს,
კარგო ოცნებები.



ვიცი პარგო, ერთად ყოფნა,
აღარ გვედირსება.
მე კი ისევ, შენთან მინდა,
ის დრო, მენატრება,
იცინოდი, იმდეროდი, ოცნებები გქონდა.
წლები, აღარ დაბრუნდება,
მე კი, მენატრები.
არასოდეს, მავიწყდები,
მუდამ მეყვარები.
როგორ მინდა, რომ დაბრუნდე,
უფალს ვევედრები;
არასოდეს დაგივიწყებ
გულში მეყვარები.
(შენ ისევ ცოცხალი ხარ,
კახავ მენატრები).

2011 წელი 29 სექტემბერი
(ანნა + კახა მენატრებიძეები)

ბებო, თათარას უკვე ადუდებს,
და ჩურჩხელები, ხარიხაზე აქვს!
ამოვლებაში, ვინ ეხმარება?
შვილი-შვილები, უკვე რიგში პყავს.



არასოდეს, დამავიწყდება!
ის, ბავშვობის წლები.
მინდა ისევ, გვერდში მყავდეს,
კვლავ, მშობლები ჩემი.
როგორ მინდა, რომ მესმოდეს,
დაძახილი, მშების,
ისევ მინდა, რომ ბერტყავდეს,
კაპალს მამაჩემი.
ერთად, ვიყოთ, და, მმა, ჩემი!
მეძახოდნენ, მეგობრები.
მაგრამ, (მხოლოდ) ეს ოცნებაა.
მონატრება, ქარგო ჩემი,
ახლა არ უწერია,

და გამქრალა, ყველაფერი,
მინდა კარგო, დავიჯერო,
ასეთია, ყოფა ჩვენი.

2011 წელი 13 აგვისტო

ამ მოლოდნში, თმაში ჭაღარა შემოგჩვევია,
ვერ ეგუები, კარგო იმ ყოფას,
რომ გახდი ბებია.
უცებ გაირბინა წლებმა,
შავი ვერი, თმებზე არ შეგრჩენია,
მე კვლავ, ისევ გელოდები,
უსასრულოდ, გამიგრძელდა,
მოლოდინი, შენია
მგონი კარგო, შენზე ფიქრით,
დავასრულეო დღენია.

2009 წელი 2 აგვისტო



ორი ფლის მინ უცრო გედინი ვიზავით

სანამ რუსეთი, მოაკითხავდა, ჩვენს ქვეყანას,
სანამ რუსეთი, თავის ტანკებს, ჩვენ

გაგვატანდა,

2 წლის წინ იყო, ჩემო კარგებო,
ბედნიერად, ვგრძნობდით ყველა თავს.
აგვისტოს შემდეგ, ოკუპანტები
აღარ გვიტოვებენ, გაგვანადგურეს,
აგვაწიოკეს, ჩვენ ქართველები.
დავიხოცეს ჯარის-კაცები,
აგვაოხრეს და არ გვშორდებიან,
პასპორტის შეცვლით გვემუქრებიან.
რუსულ პასპორტებს კვლავ გვაწოდნებენ
გვაიძულებენ, პასპორტის შეცვლას.
ნათესავებოან აღარ გვიშვებენ,
დაგვაკარგვინეს, ჩვენი პერევი.
2010 წელი 3 თებერვალი

დედა გვიმდერის ნანასა,
ამბავს გვიამობს ტაძარი,
მსგავსება საქართველოსი,
მითხარი კარგო სად არის.

ჩვენი მოგარე და ჩვენი მზე
კვლავ გაგვინათებს გზებს
მიყვარხარ ჩემო სამშობლო
ვერ დაგივიწყებს შენ.
2010 წელი 8 სექტემბერი



ისევ ჩამოკრავს, საათის ზარი,
ყველა თავის გზით, მიისწრაფიან.
საათს უცქერენ, წასვლას ჩქარობენ,
მე კი დავრჩები, კვლავ მარტოდ მარტო,
ამიტომ არის, რომ ხალხს დავეძებ,
კვლავ მენატრება, ის ხალხმრავლობა,
როცა წლების წინ, მე თვითონ მქონდა,
მრავალშვილიან „დედას“ მეძახდნენ,
ეხლა კი ვრჩები, განმარტოებით.

2011 წელი 15 სექტემბერი

დედა

ყოველი წელს თითქმის,
დედას ვიხსენებ.
ყველაზე ტკბილი, ქვეყნად დედაა...
დედის სიყვარულს, რა შეედრება,
როცა ავად ვართ, ჩვენ ვინ გვამშვიდებს?
ჩვენს ყველა ტკივილს, დედა განიცდის,
დედა ძვირფასო, შეუცვლელი ხარ,
გთხოვ რომ არასდროს, არ დამიბერდე.
შენი ჭაღარა, ჩემთვის მზის სხივს ჰგავს.
მიყვარხარ ძლიერ, გიხსენებ ყველგან,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ,
უძლური ვხდები, როცა გიყურებ,
ახალგაზრდობას, რომ ვერ გიბრუნებ,
მაგრამ შენ ჩემთვის ყველაზე კარგი,
მშვენიერი და ლამაზი მყევხარ,
მუდამ გახსოვდეს ძვირფასო დედა.

2009 წელი 15 მარტი



ნუბზარი

შენზე შექმნილი, ჩემი სიმდერით,
ვიცი ნუგზარი ვერ გაგაოცებ,
როცა შეგხვდები, ჩემო ძვირფასო!
ლამაზ ლოყაზე, ისევ გაკოცებ,
ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ,
უშენოდ ყოფნა, არასდროს მინდა.
იცი? ძვირფასო რომ მენატრები?
შენთან შეხვედრა, ძალიან მინდა,
მინდა გისურვო, ბედნიერება,
ახალი წელი, მშვიდი და წყნარი.
და მომავალში, კარგი ცხოვრება,
იყო ცხოვრებით, მუდამ დამტკბარი.
უდარდელი და თავისუფალი.

ჩემი ცხოვრება

მთელი ცხოვრება, ვშრომობ და ვშრომობ,
ვისთვის ან რისთვის, შედეგს ვერ ვიმკი
ღმერთი, ყველას გმფარველობდესთ,
მომავლისთვის, ამ ახალ წელს.

დედა!

ო, როგორ მომენატრე დედავ!
და მომენატრა, შენი სიტყვები.
ჩემთვის ყოველთვის იყავი, მხსნელად,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ.
მე ხომ პატარა ვიყავი შენთვის.
ცრემლებით მევსება, თვალები ჩემი,
სიტყვებით კიდევ, იმდეს ვერ ვიტყვი.



რომ ადარ მყვასარ, გული მიკვდება.
კვლავ მენატრები, ძვირფასო დედავ.
ძალიან მიჭირს, მე უშენობა.
ჩემი ცხოვრების, დიდო ოცნებავ
ყველა სიკეთე, შენგან ვისწავლე,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ.
(დედაჩემის გარდაცვალებიდან 2 წლის თავზე)
2009 წელი 5 მიასი

საყვარელო დედა

დედა ჩემო, საყვარელო დედა,
იავნანას, მიმდეროდი ნელა.
შუბლზე ტყბილო, საყვარელო დედა,
სიზმარშიდაც, სულ შენ სახეს, ვხედავ,
მომენატრე და მიყვარხარ დედა,
სულ მინდა, რომ ჩემთან იყო დედა.
არასოდეს, დაგივიწყებ დედა,
და მინდა რომ, გიმდერო დედა.
მის.: მომენატრე და გიმდერი დედა,
შენ ყოველთვის, გულში მყავხარ დედა.

მამა

შენ რაც ადარ ხარ, ჩემო მამიკო,
ძალიან მენატრება, შენი სიმდერები
ასვე მენატრება, შენი სუმრობები.
მე ახლა ვხვდები, თუ რა ძვირფასი



და სიყვარულის, კაცი იყავი.
ყველა გიყვარდა, ღვინით დასდევდი,
გზაზე იდექ და პატივსა სცემდი.
არ გაუშვებდი, გამვლელ-გამომჭლელს,

შენ მარიგებდი, რჩევას მაძლევდი.
მომნარებისარ, უშენეოდ მიჭირს,
რომ გავაგრძელო, ჩემი ცხოვრება,
უსაყვარლესო, ჩემო მამიკო.

ღმერთმა, მოგაგოს ნათელი შენი.
და მოგიტეოს, ყველა შეცდომა,
ჩვენ, კი ყოველთვის გვემასსოვრები
თბილო და ტკბილო ჩემო მამიკო.

2009 წელი 5 მიასი

მიყვარხართ, ჩემო დედიქო

თაფლივით ტკბილო, მზესავით თბილო!
სულო დაგულო, ჩემო დედიქო.
მომენატრე და გიმდერი ისევ,
უსაყვარლესო, მშობელო ჩემო.
შენ მიმდეროდი, ტკბილად
წლების წინ,
დღეს მე-ვიხსენებ, შენს ტკბილ, იმ სიტყვებს,
როცა დედიქო, ჩემთვის ამბობდი.
მიყვარხარ დედა, სულო და გულო,
ჩემო იმედო და ჩემო მხსნელო.
ღმერთი გფარავდეს, ჩემო დედიქო.
გადარებ მთვარეს, გზებს რომ მინათებს,
შენ ჩემო მხსნელო, თვალის სინათლევ.



სპოლის ქაო

გოგო-ბიჭები, სკოლის ეზოში,
მხიარულობენ ბურთს, თამაშობენ,
ზარის დარეკვას, ელოდებიან
გაკვეთილები, რომ დამთავრდება,
ყველა სახლისკენ, ეშურებიან.
მოსწავლე რომ ხარ, მაშინ ვერა გრძნობ.
სკოლის პერიოდი რა ბედნიერია,
დრო რომ გაიგლის, ბავშობაც მთავრდება,
მოგონებებში, ჩაიძირები.
ამხანაგები, მასწავლებლები,
ან დღე, ან დამე მოგენატრება,
წარსულის დაბრუნება, კვლავ მოგინდება
მაგრამ მერწმუნე, ეს ყველაფერი.
გასულმა წლებმა, თან გაიყოლა,
მატარებელს, ჰგავს მოსწავლეობა
მატარებელი მიდის, ბრუნდება.

ბავშვობა

ცხოვრება რთულია, ბავშვობა კარგია.
წარსულს ვერავინ, ვერ დააბრუნებს,
ბავშური, დროა უდარდელობა.
ბავშურ, პერიოდს ყოველთვის თან სდევს,
ბავშობა, თითქმის ჰგავს მატარებელს.
ყოველთვის, გვინდა რომ დაგვიბრუნდეს,
მაგრამ არასდროს, არ დაბრუნდება...
კარგი თუ ცუდი, რჩება წარსულში.
კარგი ბავშობა, ყოველთვის კარგია,
ცუდი ბავშობა, სამწუხაროა!



და რაც დრო გადის, წარსულში რჩება.
მოგონებები, ცუდის თუ კარგის
გჯეროდეს, კარგო ყოველთვის ტკბილია,
ეს ყოველივე გამოცდილია.

სულაც არ მინდა, შენ რომ იტირო,
ჩემო, სიცოცხლევ! და სიხარულო,
ჩემო ოცნების, დიდო იმედო.
დაგეძებ სად ხარ, ჩემო სულიკო.

სიცოცხლით, სავსე ხარ,
იმედით, სავსე ხარ,
ოცნებით, აღსავსე,
ხარ, ჩემო სიცოცხლე და სიამაყე.

ოცნება, დღეს გაქრა, ჩემო სუსველა,
და ის ფიქრებიც, წამში დაგპარგვ.
რაც, ჩემს ცხოვრებას, სტიმულს აძლევდა
ეს ყოველივე შენ დამიკარგვე.

2010 წელი 7 სექტემბერი

6069

მე შემიყვარდა, ცისფეროვალება
ერთი პატარა, ლამაზი გოგო.
ჩემო პატარა, თვალებ ხატულა
ულამაზესო და მშვენიერო.
დღეა თუ დამე, სულ შენზე ვფიქრობ,
თვალებ-ხატულა, ლამაზო ნინო,
ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ,
და როგორ, მინდა შენთან შეხვედრა,



ახალი წელი, მინდა რომ იყოს
ჩვენ შეხვედრის და ბედნიერი
ჩემთ ცისფერ-თვალება
შეხვედრა, მენატრება.
2009 წელი ბედნიერი გვექნება.

2008 წელი 30 დეკემბერი

ჩემთ ცხოვრება, შენ ხარ მხოლოდ,
უსაყვარლესო, პატარა გოგო
მე არ ვაპირებ, უშუალოდ ყოფნას,
ყოველთვის მჯერა, რომ ჩემთან მოხვალ.
ყველა სიკეთეს, გთავაზობ კარგო,
მე შენთან მოსვლას, ყოველთვის ვნატრობ
მინდა დავსახოთ, ჩვენი მიზნები,
მწამს რომ, ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით.

შპლზე ჩემს მეუღლეს

კარგო დღეს გახდი 50-ის!
მინდა დათვალო, შენ ასი წელი.
შენი ცოლ-შვილით, მუდამ იხარე,
ჩემთ ძვირფასო, სულის მშვენებავ.
მთელ ცხოვრებაში, იყავ დღე-გრძელი.
დარდი, არასდორს არ შეგხვედროდეს,
ცხოვრება გქონდეს, მშვიდი და წყნარი,
ასი წლის შემდეგ, ისევ გვენახე,
ყანწით ხელში და დვინით მთვრალი.

2010 წელი 16 ივლისი



ბავშვობა

ცხოვრება რთულია, ბავშვობა კარგია.
წარსულს გერავინ, გერ დააბრუნებს,
ბავშური დრო და უდარდელობა,
ბავშურ პერიოდს, ყოველთვის თან სდევს.
ბავშობა თითქმის, ჰგავს მატარებელს,
ყოველთვის გვინდა, რომ დაგვიბრუნდეს,
მაგრამ არასდორს, ეს არ მოხდება,
მაგარებელი, მიდის ბრუნდება.
ჩვენი ბავშვობა და მისი ხანა,
ეს არასოდეს, არ დაბრუნდება.
კარგი თუ ცუდი, რჩება წარსულში.
კარგი ბავშვობა, სამწუხაროა,
და რაც დრო გადის, წარსულში რჩება.
მოგონებები, ცუდის თუ კარგის,
გჯეროდეს კარგო, ყოველთვის ტებილია
ეს ყველაფერი გამოცდილია.

მოსწავლეობა

მოსწავლეობა ოქროს პერიოდში,
ძალიან კარგი და სანატრელია,
სკოლაში მისვლა და ბავშვებთან შეხვედრა.
ყოველთვის კარგი და სასურველია,
მასწავლებლების, კლასში შემოსვლა,
არის ძვირფასი, ცოდნის შექნა.
გაკვეთილები, ცოდნის წყაროა.
სკოლის პერიოდი, მოგენატრება,
როდესაც სკოლა, კვლავ დამთავრდება,
გაივლის წლები, ახალგაზრდობის.
მასწავლებლები, მოსწავლეები
და საერთოდაც, მთელი ბავშვობა მოგენატრება.
მაგრამ ის წლები, აღარასოდეს არ დაბრუნდება.



მუარე ხვედრია

მე წილად მერგო, ეს მწარე ხვედრი,
ცხოვრება რთული, პრობლემით სავსე,
მაგრამ იმედი არ დამიკარგავს,
გული სიკეთის, თასით ავავსე.
და ეს სიკეთე, გზებს გამინაოებს,
მე მჯერა ღმერთის, რომ არ წამაქცევს.
და ჩემს ცხოვრებას, ლოცვით ავსებს.
ჩემი სიცოცხლე, მე ღმერთს მიგანდე,
კვლავ ყოველი დღე, მე ვწერ სიახლეს.
რადგან ჩემს ფიქრებს ვანდობ
თეთრ ფურცლებს,
მიყვარს „პასტა“ და მიყვარს
რვეული: მე უნდა ვწერო!
რადგან არ მნახოთ გადარეული.

ყველა წუთი ძვირფასია,
მე ყოველთვის მწამს და მჯერა,
ვცდილობ წუთიც არ დაგვარგო,
სარფიანად იქნეს ყველა.

ისედაც, ხანმოკლეა ჩვენი ცხოვრება,
ამიტომ გიყვარდეთ კვლავ ერთმანეთი,
პატივისცემა მუდამ გახსოვდეთ.
სიკეთის ძებნით, სიკეთეს თესდეთ,
დაიმახსოვრეთ, ყველგან, ყოველთვის
თქვენგან, სიკეთეს ვეძებთ ყოველთვის.
ღმერთი გფარავდეს ყველას,
დედიკო ლოცავს შვილებს,
შვილები გაურბის დედას,
აპირებს შორს გაფრენას,



ფრთხებს რომ გაშლიან მერე,
ვეღარ აჩერებს დედა.
სულ მინდა, გვერდით მყავდნენ,
უშვილოდ ვერ ვძლებ ვერა.

6069

მე ყველა ნინოს მთელ მსოფლიოში,
მინდა ვუსურვო, დიდხანს სიცოცხლე,
ღერთის წყალობა, და უფლის ლოცვა,
მთელი ცხოვრების გზაზე.
ჩემო ძვირფასო, წმინდა სახელით,
იცხოვრე დიდხანს, ჩვენს საიმედოდ,
მუდამ გახსოვდეს, რომ ნინო გქვია,
და გაუბრთხილდი შენს წმინდა სახელს,
ღმერთი ლოცავდეს შენს წმინდა სახელს,
ნინო.

სხივები მზისა

დდეს სხივები მზისაო, მოეფინა ჩვენ მიწას,
გაუხარდა ჩემს ინგას,
უღრუბლო ცა, და მზის სხივი,
უფლის, ლოცვით არ მოაკლდეს,
ჩემს მშვენიერ, ქვეყანას.
გახსოვდეს რომ, პვლავ გვიყვარხარ,
ჩემო ინგა პატარავ,
ღმერთის ლოცვამ გაგიბრწყინოს
ეგ თვალები პაწაწინა.



ბეჭა

შენ, აბრიალებ ბეჭა შავ თვალებს,
ყველაზე პატარა, დღეს მე შენ მყევხარ,
ნებავ იცოდე, ჩემო ძვირფასო,
როგორ მიყვარხარ!
შენ გაიზრდები, გოგოების, გულთა
მპყრობელი,
არ მოგაკლდება უფლის ლოცვა, ყველგან,
ყოველთვის,
და შენი ქცევით, იამაყებს მთელი სოფელი.
4 წლის ბეჭას ანნა ბებოსგან.

მ0შიგო

შენ ხომ, მაისის სიხარული ხარ,
და ჩემი დიდი სიყვარული ხარ,
რიცხვი 13, შენ შემაყვარე,
ჩემი პირველი, შვილი-შვილი ხარ.
როგორ მიყვარხარ, ვერც წარმოიდგენ,
უშენოდ ყოფნა, ძალიან მიჭირს,
შენ გაიზრდები, ჩემო მიშიკო,
უძვირფასესი და კარგი ბიჭი.
ღმერთი გფარავდეს ყველგან ყოველთვის,
მე შენ ძალიან, სულ მეყვარები,
კურთხეულ იყოს, ის ადგილები,
სადაც მიშიკო, შენ იმყოფები.
5 წლის მიშიკოს ანნა ბებოსგან



ცხოვრება სიურპრიზებს, ხშირად მიმზადებს,
დილას საღამოს თუ შუადღისას,
და ასე მიდის ჩემი ცხოვრება,
დღეს დამე მოსდევს, დამეს ისევ დღე,
ამ ჩემს ცხოვრებას იმედს ვინ აძლევს,
ჩემი შვილები, შვილი-შვილები,
სიცოხლე, მხოლოდ მათვის მიხარია.
შვილების აღზრდა, ჩემი ვალია,
ღმერთი ჰყარავდეს, ყველგან ყოველთვის,
მე სხვა სიმდიდრე, არც მიანტრია.

ნაზი ხარ ლამაზი

ნამდვილად ვიცი, რომ შენი მსგავსი
ქვეყნად არვინ, არსად არ არის
რაც მთავარია, ადამიანში,
დადებითი გაქვს კარგო,
რომ ბარიალებზე თვალებს,
ჩვენთან, უყვარხარ ყველას,
კურთხეულ, იყავ, ღმერთისგან,
და გაიხარჯ, ბედისგან.
ბედნიერებას, გისურვებ,
ნაზი ხარ, მშვენიერია.

მშვენიერი რიმა

შავგრემანი ხარ, მეტად ლამაზი
უყვარხარ ყველას, შენ ვერ უარყობ,
შეხედულებით, დიდი გოგო ხარ,
ასაკით ბაგშვი, უსუსური ხარ;
ჯერ მოსწავლე ხარ, სწავლას განაგრძობ,



კვლავ მიუჯდები, ლამაზად მერხსა,
მე გისურვებდი, ჯერ კარგად სწავლას,
ბედნიერებით, ცხოვების გავლას.

ბაჩუპი

ჯერ პატარა ხარ და გაიზრდები,
სწავლას დაიწყებ, შენ სექტემბერში.
გიყვარდეს წიგნი, გიყვარდეს სწავლა,
და შენი სწავლით, გხარობდეთ ყველა.

რუსუდანი

ქრისტიანული, სახელია რუსუდანი,
გფარავდეს ქრისტე, და ოვით ღმერთი,
ისეთი ბედის, იყავ ამ ქვეყნად,
ჩვენ გვეამაყოს შენით.
მიყვარხარ კარგო, იყავ დღეგრძელი,
დიდხანს იცოცხლე, შენი მმებით,
დიდი ხარ, მაგრამ კვლავ გაიზრდები,
მოგემატება, შენ მეგობრები.
ღმერთმა, დაგლოცოს შენ ჩემო კარგო,
კმაყოფილი იყავი ბედით.

ლუპა

სულ მალე წახვალ, ბადში,
ხარ შავგრემანი, ბავშვი,
გიყვარდეს, შენი ხალხი.
გფარავდეს ღმერთი, ყველგან!
შენ გაეზარდე დედას!



მე მინდა რომ, ვიყოთ დიდხანს,
ოცნებები, აგვისრულდეს,
უფლის, დოკვით გავიხაროთ,
და მშვიდობა, არ დავკარგოთ!

დილა, მშვიდობის, ყველა დღე გისურვებ,
ღმერთმა, მშვიდობა არ მოგიშალოს,
იყავი მშვიდი და ბენდიქრი.

რამდენი ჰპგილი მობონება მაჩვს

რამდენი, ტკბილი მოგონება მაქვს!
წარუსლი დროის, მონაკვეთიდან!
წემი, ბავშვობის გახსენებიდან!
რა კარგი იყო, გასული წლები;
გასული წლები, კვლავ მენატრება!
იცნებით სავსე, სულ მხიარული,
ხმაურიანი, იმედით სავსე!
ყოველთვის მსურდა, ლამაზად ყოფნა,
და სხვათა შორის, ვყოფილიყავი!
მე მარტობა, სულ არ მიყვარდა,
ადამიანებს, უუერთდებოდი.
კარ-ჩაკეტილი, მე არ ვყოფილვარ!
და ვერც, ვერასდროს ჩაიკეტები!

ამ ცხოვრებას რას ბაშბებ

რა ვიცოდი ეს ბედი თუ მეწერა,
ამ ცხოვრებას, მიუყვები მე ნელა,
ვერ ვიშორებ, მოურჩენელ იარებს.
ნუთუ მართლა, ასე დავიმსახურე?



გცდილობ, არვის კაწყენინო,
მაგრამ, მაინც ვერვინ მიგებს,
ამ ცხოვრებას, რას გაუგებ,
ყველას, უნდა დაუჯერო,
დიდს, თუ პატარას.
შენ, არავინ გეკითხება,
თუ რა, გჭირდება,
მხოლოდ ღმერთმა, იცის კარგო,
ჩვენ, რაც გვიხდება,
არასოდეს, დაივიწყოთ,
ღმერთის, დიდება.

ბული მუდამ ჭერას მთხოვს

ყველაფრის, მიუხედავად,
გული, მაინც წერას მთხოვს,
რა ვქნა, თუ კი, ამ ჩემს ბედს,
ჩემგან, ასეთი რამ სურს.
მინდა, ვწერო სიმღერა,
კიდევ, ბევრი ლექსები,
ნუ მოიწყენო, კარგებო,
ჩვენ ბედს ვერსად ვექცევით.
იმედს, ნურვინ დაკარგავთ,
მოთმინება, ვისწავლოთ,
ღმერთმა, მოგვცა ყველივე,
და ჩვენც, უნდა ვემორჩილოთ...
რადგან, ყოვლის შემძლეა,
ცხოვრებას, კვლავ გავაგრძელებთ.
მე, ყოველ წუთს, ამის მჯერა,
ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა,
შემწეობას, ითხოვს ჩვენგან.



შვილები გუდიდან ურინდებიან

დღეს ნუგზარი, დაბრუნდება ჯარიდან,
ჩემი გულიც შვებით ამოისუნოქებს,
კარგი იყო, მტერი რომ არ გვყოლოდა,
ყველა შვილი, დედას დაბრუნებოდა.
მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ ვერაფერს,
ვეღარ ვცვლით,
და შვილები, ბუდიდან ფრინდებიან
მე, კი ღმერთს ვთხოვ,
ყველა, დედის შვილები,
მჯერა ბუდეს, ისევ დაუბრუნდებით.

ყველას ვთოხვ, ყველას, დიდს თუ პატარას,
გვიყვარდეს წიგნი, წერა და კითხვა!
წიგნი, იყო და არის, ვერავინ შეცვლის
ცოდნის წყაროა, კითხვის გარეშე,
ბავშვები ვერ მიიღებენ სათანადო ცოდნა!

მთავარი ჩემში საქართველოს, სიყვარულია.
და სწორედ სიყვარულმა და იმ გმირების ვაჟკაცობამ,
დამაწყებინა წერა, ლექსების, რომელიც აგვისტოს ომში,
იბრძოდნენ ცხინვალში. „პახა კი პაროიძესთან“ ერთად. „მადლობა
იმ გმირებს“ ვინც იბრძონენ სამშობლოსთვის, და თავი გასწირეს,
მადლობა მათ მშობლებს, ვაჟკაცების აღზრდისთვის.



რა ლამაზი დღეა
გაზაფხულის თვეა,
გიორგობის დღეა,
იმიტომ რომ დღეს
ნათიას დაბადების დღეა.

გიორგობის დღე და მაისის თვე
კვლავ ამოვა მზე,
და გვაცხუნებს ჩვენ,
მოგილოცავ კარგო
დაბადების დღეს.

2009 წელი 6 მაისი



ঝঢ়েঝুঢ়া
ঝুঢ়েঝুঢ়া

შემოდგომა

ქარვასავით, ყვითელ მტევნებს,
გაზის ძირში, უკვე პრეფენტ.
პაწაწინა კახუნია
მი პარვია ჩუმა-ჩუმად
დედიკომ, არ დაინახოს,
ალბად ფიქრობს, გულში ბავშვი
ყურძნის ჭამას, ვინ დაუშლის,
კარგად იყოს, ოღონდ ბავშვი.

2011 წელი 12 ოქტომბერი

ხეებს გოთლები სცვივა

ჩაყვითლებულა კომში,
უკვე, სურნელიც დადგა,
შემოდგომაა, კარგო!
შენ კი, აღარსად ჩანსარ.
ხეებს, ფოთლები სცვივა,
ცვივა და ცვივა, კაპალი,
ჩიტუნებს, უკვე სცივათ.
ბელურებს, გააქვთ კანკალი.
ეზიდებიან შეშასა,
რომ არ შესცივდეთ, ზამთარში,
შენ კი, საღახარ ძვირფასო!
კვლავ მინდა, გნახო გამობარი.
უშენოდ გული, ცივი მაქვს,
რა გინდ, თბილოდეს ყველგანა.
მშვიდად იყავი, გეთაყვა.
მალე, მოგივა დედაცა!



ოქტომბერი, შემოდგომის
ბრწყინვალე თვეა.
ასევე, ჩემთვის, ოცნების ახდენა!
დიდი, სისარული, ოქტომბერში მქონდა.
როცა ვაჟაცი, ღმერთმა მაჩუქა.
მე, ბედნიერად ვგრძნობდი თავს.
ვაჟაცი, მყავდა! ჩემი სიამაყე,
პირველი, და განუმეორებელი!
ლამაზი, ტანადი, ჭკვინი, მოსიყვარულე,
ყველას, განურჩევლად თაყვანისმემელი,
არასდროს, უარს არ ამბობდა! სიკეთის კეთებაში.
სანამ, ცხოვრობდა, ბევრ სიკეთეს,
თესდა, ყველას თავს ამახსოვრებდა.
ერთი, გაცნობითაც კი ყველას ახლობლათ სთვლიდა,
მტერსაც კი. ყველას ენდობოდა, ყველა კეთილად
ცნობდა.
არავისთვის, ცუდი არ უნდოდა,
მადლობა, ჩემს გმირს, იმ სიცოცხლისთვის.

ჩემი აზხაზეთი

სულ გვენატრება, ჩვენი აფხაზეთი,
ძალიან გვინდა, რომ დაგვიბრუნდეს.
იქ, მენატრება, ოდესმე ვიყო.
ისევ მოვიარო, ჩემი ველ-მინდვრები,
ღმერთო, ამისრულე ჩემი, სურვილები.
ისევ დამიბრუნე, ჩემი აფხაზეთი.
კურთხეულ იყოს, ჩვენი ადგილები.
სადაც იარება, ჩვენი ქართველები.
და კვლავ, გაგვიმრავლე ყველგან ვაჟაცები.
ისევ დაგვიბრუნდეს, ჩვენი აფხაზეთი
ჩემი ოცნებაა, ისევ აფხაზეთი.
ღმერთო დაგივიბრუნე, ჩვენი ადგილები.

2011 წელი 27 სექტემბერი
აფხაზეთის დაცემის დღე



თბილისო ჩემო

თბილისო, მშვიდო და თბილო.
არ დაგელიოს ხიბლი,
გვიყვარხარ, ყველას, და გიმღერო ყველა,
შენ ჩემო, თბილისო ჩემო.

გვიზიდავ ყველას, როგორც
თვეზეს წყალი.
იყავი მუდამ, გასაოცარი.
მომხიბლავი და მუდამ ლამაზი,
ჭაღარა, თბილისო ძველო,
იარე, სულ მუდამ, იბრწყინე,
მზის შუქად.
ღმერთი, გფარავდეს კარგო,...
სულ მუდამ.
მე შენ, გიმღერი, დედა-ქალაქი ჩემო.
რაც ძვირფასია, სულ შენოვის მინდა,
ჩემო თბილისო ჩემო.

სიმღერა ბათუმზე

უშენოდ, არ გვინდა არა,
ცას, ვარსკვლავები სწყდება...
მე შენ გიმღერი ბათუმო,
მეორე დედა, შენ ხარ!...
შენთან მოსული სტუმრები,
ბულვარში მდერის ყველა...
ღმერთი, გფარავდეს ყოველთვის,
შენთან, იჩქარის ყველა...
სიამაყე ხარ ჩვენი...
და სილამაზე ერის.
გვიყვარხარ, ჩემო ბათუმო,
ამიტომ, შენ გიმღერით...
შენი ზღვა, ყოველთვის თბილია,
მიმზიდველია, ქვენის...
შენთან, მოსული სტუმრები,
ჯანსაღ, ცხოვრებას ელის...



ჩემი საჩხმრე

ყოველთვის მიზიდავს, ჩემი საჩხერე.
ჩემი მიწა და ჩემი მთაბარი,
მე არ ვიკვეხნი ძვირფასო მაგრამ,
მისი მსგავსება, არსად არ არის.
ჩვენ შეგვიძლია იმედის ფრთები
რომ გადავშალოთ! აქ საჩხერეში.
ღმერთის წყალობა გავინაწილოთ,
და კარგი ქცევით გზა გავაგრძელოთ,
უფალი ჩვენი არმიგვატოვებს,
კურთხეულ მიწებს ბარაქით ავსებს,
სვალინდელი დღის იმედით გვაგსებს
საქართველოს მზე, სხივს არ მოგვაკლებს.

ქუთაისი

ქუთაისო ჩემო, ჩემთვის საყვარელო!
მეორე ქალაქო, კულტურით განთქმულო.
შენ ქუთაისო, სულო და გულო.
ლამაზო, ჩემო, ძვირფასო ჩემო.
შენ გეტრფის, ყველა უძვირფასესო,
ლამაზ სიმღერას, გიმღერებს ყველა,
ქუთაისელი ემიგრანტები.
შენ ჩემთვის, წმინდაგ იხარო მინდა.
ღმერთის წყალობა, არ მოგკლებოდეს.
შენი მშვენება, მუდამ გქონოდეს
შენი დიდება, მარად და მარად,
ემღეროს ყველას, მრავალუამიერ.
უფალი ჩვენი, მუდამ გფარავდეს,
შენს მიწა, წყალზე, ბევრი ტურისტი,
მრავალ წელიწადს არ მოგკლებოდეს.



„მეოთხე კლასში ვიყავი, როდესაც მასწავლებელმა
მოგვცა თემა – „ჩემი სოფელი“. საერთოდ მიყვარდა
ქართული ენა და ლიტერატურა, ლექსებისა და
სიმღერების წერა-კითხვა (ხმამაღლა).

„ჩემი სოფელი“ როდესაც დავწერე თან ჩაურთე
ლექსები ჩემებურად, როგორც მეოთხე კლასელმა
შევძელი, ერთ-ერთი მათგანია. უფროსებისგან
გაგვიგონია რომ თამარ მეფის ჯარი:
ჩემი სოფელი სპეთი
ლამაზია ბუნებით
თავს დაჰყურებს მაცხოვარი
შემკობილი გორებით.

სპეთში იარებოდა. და თამარ მეფის დროინდელია
მაცხოვარი მეორმეტე საუკუნეში აგებული.
ექსკურსიებზე დადიოდნენ ჩვენ სოფელში, ასე რომ
ისტორიული სოფელია.“

საჩხერე სიხარულია

ჩემი სოფლისკენ მიმიხარია,
იქ მეგულება ჩემი სახლია,
ჩემი ეზო და ჩემი ოჯახი,
და მშვენიერი ჩემი სახლია.
სადაც ვიქნები ყველგან გულში მყავს,
ჩემი ოჯახი, და ჩემი ხალხი,
ჩემი საჩხერე სიხარულია,
არგვეთი მისი თაიგულია,
მუდამ გვახსოვდეს არ დავივიწყო,
ჩვენი სამშობლოს სიყვარულია,
ღმერთი გფარავდეს ყველგან ჭოველთვის,
ჩვენი მიწა ხომ კურთხეულია.



გურიაშვილის ჩამო

რა ლამაზი ხარ ბუნებავ ჩემო,
რამდენი რამე, არის ამ ქვეყნად,
ულამაზესი, ფრინველებიდან,
ჩვენ, ყოველ დილით, ვისმენთ გალობას,
რა მშვენება გაქვს, შენ საქართველო,
ყოველნაირი, სიკეთე ჩვენთვის,
ყველა სიმდიდრე, კეთილ კაცისთვის,
შენ მსგავსბა, გერ ვნახე ვერსად.
ერთ-ერთი ხარ, ლამაზო ჩვენთვის.
იზიდავ ყველას ავსებ სიკეთით,
ქართველი კაცი, შენს მზეს იკვენის,
იმედის გზებით, გვინათებ ვარსკვლავს.
სიმდიდირით გვავსებს, ჩვენ არსად წავალო.

მოგევარა შემოდგომა

შემოდგომა, მოგვეპარა,
აფრიალებს, ქარი ფოთლებს.
მალე, რთველიც დაიწყება,
და მარნებიც გაიგსება,
ჩვენი, ხალხიც დასაქმედება,
უხვ, მოსავლით აიგსება,
ყველა სახლის, ეზო ქარი,
სკოლის კარიც გაიდება,
და კლასებიც, გაივსება,
ჩვენი ღმერთიც, ჩვენთან იქნება,
კვლავ იმედით, აიგსება ჩვენი ცხოვრება.

დამე მშვიდობისა, სულ იყოს, მშვიდობა,
მშვიდობა ღმერთის, საჩუქარია,
კაცობრიობის, საწინდარია,
და ჩვენ, კარგებო სულ გვინატრია.



სიმღერა ძარი

ქარია და სიცივეა,
დეკემბერი მიღის
მეშინია უმეგობროდ მარტოობის ფიქრის,
ნუთუ მართლა შეგაშინა
ამ დეკემბრის ყინვაზ
შენ თუ მართლა მიმატოვებ
ვიღარ ვენდო ვისა.
იანვარი დადგაო გული ვერ დაწყნარდაო,
მე უშნეოდ მოვიწყინე
რად არ გჯერა რადაო.
ზამთარია თოვლი მოღის.
უმეგობროდ არ გამოდის,
დამიბრუნდი ისევ მე,
გელოდები ისევ მე,
შენ მეგობარი გიმღერის
ისევ და ისევ შენ,
მატრა რა რა რაა ჰევ...
დამიბრუნდი ისევ მე
გელოდები სიევ მე
მატრა რა რა რაა ჰევ...

ზამთარი

ზამთარი მოღის, თოვლიც მოგვივა,
შენ მოსვლას, კარგო ველარ ველირსე,
გასულ წელს, შენთან, მშვიდად ვიყავი.
წელს კი მშვიდობა, მოგვნატრებია,
ჩვენს მიწა, წყალზე, მტერი ტიალი.
ტარაკებივით, გარს გვეხვევია.
რა მოვახერხოთ, თითქოს ვერ ვხვდებით.
ზამთრისოვის უკვე, ემზადებიან.
საქართველოში, ჩვენი ცხოვრება
მტრის გამო, კარგო მოგვბეზრებია,
ვერ გამიგია, ჩვენგან რა უნდათ.



ან პერევს, რადას, ემუქრებიან,
მთელი საჩხერე, შიშის ქვეშა ვართ,
ყველას ძალიან, შეგვშინებია.
ლოცვა კურთხევა, საქართველოში,
როგორც არასდროს, ისე გვჭირდება.
ღმერთო შენ, მიეც ყველას მშვიდობა,
შენ კი მდევრო, იქნეს დიდება.

2008 წელი 2 დეკემბერი

თოვლი და ზამთარი

უშენობას განვიცდი
დრო ჩვენ ხომ არ დაგვიცდის,
ცას მოსწყდება ვარსკვლავი
ჩემი გოგო სად არის.
თოვლია და ზამთარი
სიყვარული მზად არის
მომენატე ძვირფასო
სიხარული სად არის.
ქარია და ავდარი
აგვერია დაფთარი
შენ როდესაც ვერ გხედავ
ის დღე ჩემთვის არა რის.

ზამთრის მოსვლა

შემოდგომა, მიიწურა
ზამთარი, კარს გვიკაკუნებს,
ჩვენს რაიონს, მოსვენებას
არ აძლევენ კვლავაც მტრები.
გვეშინია ყოველი დღის
ტერაქტებს, პალავ ჰელოდებით.
ნახევარი რაიონი,
ლამის, ჯავრმა წაგვართვა.
ჯარები, ჩაგვიყენა და პრობლემებს,
გვიქმნიან,



თავისუფლად ცხოვრება,
 თითქმის არ შეგვიძლია,
 ღმერთო, შენ დაგვიფარე
 და მტრები, მოგვაშორე.
 თავისუფლად, გვატარე
 საქართველოს მიწაზე.
 გულში, შიში გაგვიქრე
 გამძელობა გვაჩუქე
 ღმერთო შენ დაგვიფარე,
 ჩვენ კურთხევულ მიწაზე.

ახალი ჭელი

მალე, იანვარი მოვა,
 თოვლის პაპა, გამოჩნდება,
 კარებზე, დააკაკუნებს.
 ახალი წელიც, დადგება,
 ჩვენი, ლხენა ცას, მისწვდება.
 ვარსკვლავებიც, გაბრწყინდება,
 ნაძვის ხეს, ტოტები ტყდება
 საჩუქრები, გვემატება...
 თოვლის, პაპა დაგვითვრება,
 ტკბილი სუფრა, გაიშლება.
 კვლავ სიმშვიდის, წელი დგება.
 მშვიდობა და გამარჯვება,
 არასოდეს, მოგვაკლდება,
 ახალი წელი, დადგება,
 ჩვენი ლხენა, ცას მიწვდება,
 და მშვიდობა, დაბრუნდება.
 ჩვენი ღმერთი, ჩვენთან იქნება.



მიფრინავს ეს წელი, მიფრინავს,
და თან მიჰყება წარსული,
დღეები, გადიან ეს წელიც მთაგრდება,
ღმერთმა, ისმინოს ჩვენი ვედრება,
იმედი გვაქვს რომ, ახალი წელი,
გვაქნება მშვიდი და ბედნიერი,

ახალო წელო, ჩვენ ბავშვებს,
მოგვიყვანე, თოვლის პაპა.
საჩუქრებით, სავსე ჩანთა,
თოვლის პაპამ, მოგვიტანა.
ჩურჩხელები, კანფეტები,
და მრავალი, ტკბილეული,
დაურიგა პაპამ, ბავშვებს.
და უსურვებს, მშვიდ ახალ წლებს.

თოვლის პაპა

თოვს, თოვს, თოვს, რა ლამაზ თოვს,
ამ ახალ წელს, ბავშვებო,
ვიგუნდაოთ, გთხოვთ,
თოვლის პაპას, ბავშვები,
ბევრ საჩუქრებს, სოხოვს,
ჩვენ ბაბუას, წერილების,
და მრავალი, სურვილების,
ასრულებას, ვთხოვთ.

თებერვლის თოვლში, შენ მოგერია,
სევდა ოხერი...
და ამ ფიქრებში სიკვდილმა
გზაცა ვერაგი ხელი,
სიცოცხლით სავსე, ოცნებით სავსე
შენ გამეპარე, ცივ სამარეში,



თან გაიყოლე, ჩემი იმედიც,
დამტოვე შვილო გამწარებული,
მთელი ცხოვრება, შენზე ფიქრებში
უნდა ვიცხოვრო, სანამ ვიქნები.

ახალი წლის, ყოველი დღე!
იყოს ჩვენთვის ბედნიერი.
ჩემო ნორჩო, მეგობრებო!
უღრუბლო ცა, მუდამ გვქონდესთ,
მომდიმარი, თქვენი სახე.
პრობლებს, არ დაეჩრდილოსთ
უფროსების, დაფასება არასოდეს
დაგევიწყოსთ.

მშვიდი წელი, მოსულიყოს
ჩვენ უფროსებს, შეგვძლებოდეს
თქვენზე ზრუნვა, თან უნაკლოდ.
ყოველივე კარგს, ვუსურვებო
მთელ მსოფლიოს ყველა ბავშვებს,
ღმერთი, ყველას გმფარველობდესთ,
მომავლისთვის, ამ ახალ წელს.

ვის გაუგია მაისში თოვა?

ვის გაუგია მაისში თოვა?
მაგრამ შენ, თუ მთხოვ უთუოდ მოვა
ვის გაუგია, თუბერვლის მარწყვი?
არავის სჯერა, რომ ესეც არის.
თუ კი ვინმე, მთხოვს
მარწყვსაც მოუტან.
შეუძლებელი ქვეყნად, რა არის?
მე შემიძლია, ყველას გაგება.
კეთილი გულით, ნუ რა თქმა უნდა.
და თუ მე, დალაც ვინმეს შევნიშნავთ,
გჯეროდეს იმის, რომ არ დაგზოგავ



შენ მთოხებე ლექსი,
შენც დაგიწერა.
ჩემი აზრები, მთლიანად აქ სდევს
რადგან ყოველ ლექსს, ჩემი გაგებით
ბრილიანტს, ვაქსოვ და მკითხველს
ვამკობ.

თოვლის ფანტელები

თოვლის ფანტელები, თმებზე მეცემიან,
უშენოდ ყოფნა, ძლიან ძნელია.
თმები, გისველდება შენ ჩემო სიცოცხლევ,
თოვლის ფანტელები, შენს თმებზე დნებიან
თოვლის ფანტელებო, თოვლის ფანტელებო,
იცით თოვლის, მოსვლა როგორ მიხარია?
დიდ თოვლში, გუნდაობა და თოვლში სრიალი,
იცი ძვირფასო, როგორი კარგია?

მომნატრებია, შენთან გუნდაობა
სკოლის, პერიოდი მომნატრებია.
ჩვენი პაემანი, ჩვენი შეხვედრები,
ეს ყველაფერი, წლებს გაჰყოლია.
მე უსასრულოდ, დაგელოდები,
იმედი ისევ, არ დამიკარგავს.
თოვლი, კვლავ მოვა, ფიფქიც დადნება,
მოგონებები და შეხვედრები.
ალბად ჩვენ გულში, მუდამ დარჩება.

ბაზაშეული



გაზაფხული, ისევ მოვა.
აყვავდება ბაღში, ვარდი
მე კი ვდგევარ, აივნის ქვეშ
და გავყურებ, ჩვენ ძველ ქუჩებს.
ამომავალ მზეს, ვადარებ
შენს ღიმილს და შენს შავ თვალებს.

რად არ გჯერა, რომ მიყვარხარ
სიცოცხლესაც, განაცვალებ.

თვალებს ცრემლები, მისველებს
ისევ ვტირი, როგორც ვაზი.
რა ძნელია, განშორება
შავთვალება, ლამაზ ქალის.

ბაზაზხული

გაზაფხული მოვიდა,
გზებს მინათებ შორიდან,
და მაისის ვარდები,
იშლებიან კორდიდან,
ახლოს ვერ გეპარები,
ისე გიცქერ შორიდან,
რა ლამაზი გოგო ხარ,
და შენი კოცნა მომინდა,
ნუთუ არ გებრალები,
გულს ნუ მიკლავ შორიდან.

როცა დილა თხედება

დილა როცა თენდება,
სიხარულიც მეწება,
სულ იმაზე ვოცნებობ
დაგითანხმო შეხვედრას.
ეს წითელი ვარდები,
მხოლოდ შენ ერთს გელიან,
დამერწმუნე ძვირფასო
რომ უშენოდ ძნელია.
ტელეფონზე შენი ხმა,
უცნაურად მომესმა,
დამიჯერე ლამაზო რომ
დალიან მიყვარხარ,



როგორ მინდა მესმოდეს,
ყოველ დილით შენი ხმა.
სიხარულით გეძახდე,
ჩემო კარგო ჩემი ხარ.

ყველაფერი დროს მიჰყება,
ყველა წვენთვის ძვირფასია,
მარტო საკუთარი თავი არასოდეს გვავიწყდება
ახლობლების კარგად ყონფა,
და ყოველთვის სხვაზე ზრუნვა,
ეს ყოველთვის მართალია.



უფალი გვისწოდეთ ლამბა ცხოვრიშის


მაღლობა დმერთს

მადლობა დმერთს, რომ ჩვენ მოგვავლინა
დმერთით ვისწავლე, ყველა სიკეთე,
ყველა კეთილი, კეთილ დმერთს ირჩევს.
ბოროტი დმერთი, ჩვენ არ გვჭირდება
ამ ქვეყანაზე, ბოროტიც ჩნდება
ცუდი საქმე, ხომ ბოროტით ხდება?
ჩვენ, ავირჩიოთ კეთილი საქმე,
და ჩვენც, ვიქნებით რჩეული დმერთის,
მივყვეთ სურვილებს უფლისას მხოლოდ,
უფალი, დმერთან მიგვიყვანს ბოლოს.

2010 წელი 3 ოქტომბერი

ფეხსვეშ მიწა მეცლებაო
ხშიად ასე მგონია,
უფლის მიმართ ლოცვას ვიწყებ
გამძლეობა მეძლევა.
მწუხარება ჩემო კარგო
სიხარულით მეცვლება,
დმერთს მადლობას მოვახსენებ
ჩვენ კურთხევას არ გვაპლებს,
მაგრამ ნურც „გავიჯევილებო“
სინანულიც არ გაფრცენს.
დმერთს დიდება! ჩვენ მშვიდობა
შეცდომების მიტოვებას,
მსსნელი გვიჩევს მოკვდავებს.

2011 წელი 14 იანვარი



უფალი გვასწავლის ლამაზ ცხოვრებას

უფალი გვასწავლის ლამაზ ცხოვრებას.
ლამაზი, ფერების, კვლავაც გარჩევას,
უფალი, გვასწავლის კვლავაც სიყვარულს.
იცის მან კაცი, როგორ ახაროს
ჩვენი გალია მას მოუსმინოთ.
მისგან, ვისწავლოთ კარგის კეთება.

აღდგომა, მარლაც საზეიმოა
უფალი აღსდგა! ეს სიმართლეა.
ყველა გარდაცვლილს, რომ გააცოცხლებს.
მე მჯერა ამის და არცა ვფიცავ,
არ არსებობდა, მიწისგან შექმნა,
ღმერთმა, პირველი ადამიანი,
და თუ გარდაცვლილს, ისევ აღადგენს,
გასაკვირალი სულაც არა რის
შეუძლებელი ღმერთთან რა არის?
2011 წელი 5 მაისი

ხგალიხდელი ღღე

ნეტავ ხვალინდელი ღღე
ხალხს როგორი გვექნება?
ოსები თუ რუსები
მშვიდად თუ მგოვშორდება?
ან მზიანი, დღეები კვლავაც,
თუ გვედირსება?
ან ზამთარი, როგორი,
ბედნიერი გვექნება?



ყოველი დღე, დმერთს მივანდოთ,
ლოცვით მოვიხსენიოთ,
საქართველოს მშვიდობა,
ლმერთის ლოცვა, კურთხევა.
მწამს რომ, არ მოგვაკლდება,
საქართველოს, მზიანი დღე
არას დროს არ გაქრება.
ჩვენ ყოველთვის, ვუსურვებთ
ქართველს ბედნიერებას.

2009 წელი 10 იანვარი

უფალი ქალას ბვაძლევს

ვცდილობ გაუძლო ტკივილს,
ვცდილობ გაუძლო რისხევა,
მაგრამ არ ვიცი კარგო,
როგორ ვიქნები მე ხვალ.
ლმერთი იმედით მავსებს,
უფალი ძალას მაძლევს,
ალბად ასეა, თორებ,
ვერ გაუძლებდი ამდენს.
რამდენი ცუდი ვნახე,
რამდენი სიობო ვნახე,
რაც კარგია ყველას,
მე ვუსურვებდი ქართველს.
ლმერთი იმედით გვავსებს,
გადაგვაფარებს ხვალ მზე.
კვლავ აენთება ლამპარი,
თუ სიყვარულიც მზად არის.
გულს ნუ გაიტე, ძვირფასო,
აი ესაა მთავარი.

2011 წელი 21 აგვისტო



მადლობა ღმერთს

ორშაბათია, კვირა იწყება,
გათენდება და მზეც გაბრწყინდება,
ყოველი დღეები, უნდა გვიხაროდეს,
რადგან ცოცხალი, დაჭიარებით,
მადლობა დმერთს, რომ სიცოცხლეს გვაძლევს.
მადლობა დმერთს, რომ ბარაქას გვაძლევს.
და ყოველი დღე, პურსაც რომ გვაძლევს,
ყველა სიკეთე, დმერთისგან მოდის,
არ დაგვავიწყდეს, რომ დმერთს ვეკუთვნით.
რასაც ვხედავთ და რასაც ვაკეთებთ.
ეს ყველაფერი, ჩვენს დმერთს უკუთვნის,
მადლობელი ვარ, ჩვენ რომ ვარსებობთ,
ვალდებული ვართ, სიკეთე ვთესოთ,
რასაც დაგთესავთ, იმას მოვიმეოთ.
უფლის წყალობით, კარგად ვიქნებით.

2011 წელი 5 სექტემბერი.

ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა

არასოდეს დაგავიწყეს,
რომ ქართველი ხარ,
და არასდროს დაიგიწყო,
ვისი გორის ხარ.
მხოლოდ დმერთით, იმას აღწევთ
შენ რაც გწეურდება,
მრავალგვარი სასმელები,
ათასგვარი, საჭმელები,
სიმდიდრე და სილამაზე,
მხოლოდ, დმერთმა გვისაჩუქრა,
მადლობა დმერთს, სიკეთისოვის.



ქოველ დილით, ლოცვით გიწყებთ,
ჩვენ, დღის დაწყებას,
ლმერთს დიდება,
ჩვენ მშვიდობა. გვახსოვდეს ყველას
არასოდეს, დაივიწყოთ, უფლის დიდება,
თუ გინდა, რომ კურთხეული იყო ამ ქვეყნად,
2011 წელი 5 სექტემბერი.

ლმერთის, რჩეულები უნდა იყვნენ, წმინდანები,
არ უნდა იტყუებოდნენ, არ უნდა ეწეოდნენ,
არ უნდა დალატობდნენ, არ უნდა იგინებოდნენ,
არ უნდა ეძიებდნენ სიმდიდრეს.
იმით იყვნენ კმაყოფილნი, რასაც
ლმერთი მიცემთ, გულშიც, არ უნდა
გაიფიქრო, ცუდი ზრახვები, უნდა იყო,
მიმტევებელი, უნდა სიკეთე აპეთო.

რომ მოვპოვდები ნუ მიგლოვებთ

ჩემი ცხოვრების, მოზიარენო
ჩემო შვილებო და ჩემო ხალხნო,
ჩემი ცხოვრება, სიმდერით განვლო,
ამას ვნატრულობთ, მე მხოლოდ კარგო,
ჩემი ცხოვრება უჩვეულოა,
ყველანაირი, რაც კი შექმნილა.
გზა მშვიდობისა, გზა ტირილისა
სიცილიანი, სიმდერიანი,
წლები, კი მართლაც ყველანაირი.
მე გაუძლი, ყველა ამ ყოფას
თებერვლის ბოლოს 48 წლის



მე ვხდები მხოლოდ.
ის ასაკია, როცა ცხოვრება
გინდა ხალისით, რომ გააგრძელო
მაგრამ, რა ვიცი ჩემო კარგებო.
თითქოს ვერ უძლებ, მე ამ ცხოვრებას
მაგრამ მე მაინც, უფლის იმედით
მსურს გავაგრძელო ჩემი ცხოვრება.

2011 წელი 18 დეკემბერი



